



# შირაკი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 45 (10.150)

7-14 დეკემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები ბრძედება



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება აქტიურ რაჟიონში ხორციელდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან ერთად სოფელ გამარჯვებას ეწვია, სადაც მეთორმეტე ქუჩაზე საავტომობილო გზის ასფალტის

საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ეწყობა ორი ფენა ასფალტის საფარი, სანიაღვრე არხები და ბოგირი.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს და მისი ღირებულება 934 766 ლარია.



## კიკობოსინგის დარბაზის მშენებლობა სრულდება

დედოფლისწყაროში ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე კიკობოსინგის დარბაზის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და გეგმის მიხედვით წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 1 375 041 ლარს შეადგენს. დედოფლისწყაროს მერიამ დარბაზის მშენებლობისთვის ტენდერი გასული წლებშიც გამოაცხადა, თუმცა, რამდენჯერმე ჩავარდა, ვერ გამოვლინდა მშენებელი კომპანია, რის გამოც პროცედურულ სამუშაოებზე დრო დაიკარგა, სამუშაოთა მწარმოებელი კომპანიის გამოვლენა კი განმეორებითი ტენდერის შედეგად მოხერხდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „კიკობოსინგი დედოფლისწყაროსთვის ყველაზე ახლობელი სპორტია, ამ სახეობაში დედოფლისწყარო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო წარმატებებიც ბევრი გვაქვს. ამიტომ, ჩვენ დავპირდით და დანაპირებს ვასრულებთ. კიკობოსინგის დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც მალე დასრულდება. იანვარში უკვე გვექნება თანამედროვე შენობა, რომელსაც მრავალი წელია ელოდებიან ჩვენი სპორტსმენები და მათი მწვრთნელი. ეს დიდი ხნის ოცნება იყო და იმედი მაქვს, პირობების გაუმჯობესების შემდეგ მათი რიცხვიც გასამაგდება.“

პროცესით კმაყოფილია დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე თამაზ ყარაგვეზაშვილი, რომელიც 30 წელზე მეტია სპორტის ამ სახეობაში თაობებს ზრდის, თუმცა, საკუთარი ჭერი ამ დრომდე არ ჰქონია. ის შთაბეჭდილებებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.

თამაზ ყარაგვეზაშვილი: „როგორც ვხედავ, სამუშაოები მალე ტემპში მიმდინარეობს, დღედაღამ მუშაობენ და 4-5 ჯგუფი პარალელურ რეჟიმში მუშაობს. ზოგი ჭერს აკეთებს, ზოგი ფანჯრებს აწესრიგებს, დანარჩენები სხვადასხვა დეტალებზე არიან ორიენტირებული. მშენებლები ამბობენ, რომ ვადების დაცვით მიდიან და წლის ბოლოს

აუცილებლად ჩაგვაბარებენ შენობას, თუმცა, რამდენად მოესწება ვერ გეტყვით. ასეთი შენობა საქართველოში არ არის, არცერთ რეგიონს არ აქვს კიკობოსინგისთვის სპეციალიზირებული ამ ზომის დარბაზი. პროექტი ჩვენთან შეთანხმებით არ შემდგარა, ტენდერის შედეგად პირდაპირ დაიგეგმა, თუმცა იმ პროექტს მოვარგე ჩვენი ინტერესები. სამუშაოთა მწარმოებელი მაქსიმალურად ცდილობს ყველაფერი ჩემთან შეთანხმებით გააკეთოს, ინტენსიურად მუშაობს და ყველა დეტალზე ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებას. მაქსიმალურად ითვალისწინებენ ჩემს შენიშვნებს და კმაყოფილი ვარ ამით. ამ კომპანიას მხოლოდ მშენებლობა და მისი კეთილმოწყობა ეხება, სამსუხაროდ, ინვენტარით აღჭურვა არ შედის ამაში. თუმცა, გასულ კვირას დედოფლისწყაროში სპორტის მომავალი მინისტრი იმყოფებოდა, მოინახულა შენობა, გვესაუბრა ჩვენც და დაგვიპირდა მხარდაჭერას. შენობა, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილი იქნება სველი წერტილებითა და გათბობით. გარეთ დამხმარე შენობა აიგო გათბობის სისტემისთვის. პირველ სართულზე სველი წერტილები და გასახდლები მოეწყობა როგორც ბიჭებისთვის, ისე გოგონებისთვის. მეორე სართულზე იქნება სასწავლო ოთახი, სადაც, ვფიქრობ, რომ შემეცნებით საგანმანათლებლო შესვენებებს

გავმართავ და ამ მიზნით გამოვიყენებ. დარბაზიც საკმაოდ დიდი ზომისაა. მილიანი შენობა 35 მეტრი სიგრძის და 14 მეტრი სიგანისაა, საიდანაც დარბაზი 25 მეტრია. ამ პროცესით კმაყოფილი ვარ, დიდი მადლობა ირაკლი ლარიბაშვილს, რომლის ინიციატივითაც ეს დიდი საქმე დაიძრა და გაჩნდა შესაძლებლობა. ასევე მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს. ყველა უწყების მხარდაჭერით მოხერხდა ამ საოცნებო საქმის დაწყება. მრავალწლიანი მომთაბარეობის და კუსტარულად დამზადებული სავარჯიშო ინვენტარის შემდეგ, ჩვენ პირველად გვექნება საკუთარი ჭერი და ჩვენთვის აგებული სივრცე, სადაც დარბაზი უნდა იყოს, არაერთ მომავალ მსოფლიო ჩემპიონს გავზრდით. ბოლო რამდენიმე წელია, რაც მუნიციპალიტეტმა სივრცე გამოგვიყო, მანამდე სულ მიტოვებულ შენობაში გვინევდა მომზადება.

ამჯერად სპორტის ცენტრის საერთო დარბაზში ვვარჯიშობთ, თუმცა აქ ბოლომდე ვერ ვიხარავით. გულწრფელად გითხრათ, წარმატებები გვაქვს, მაგრამ მიღწევების საერთო დონემ იკლო და ეს ჩვენი შესაძლებლობების 20%-ია. ფაქტურად გაჩერებული ვართ, ვერ ვაკლენთ სრულ შესაძლებლობებს. ეს მხოლოდ დარბაზია, სადაც არ გვაქვს ინვენტარი. რასაც ვხედავ, ახალი დარბაზის შემთხვევაში ჩვენ ფაქტობრივად ახალ ცხოვრებას დაიწყებთ. ბევრ შესაძლებლობებს მოგვცემს ეს ახალი სივრცე. თუ ახალი შენობა შესაბამისად აღჭურვება, რა თქმა უნდა, წარმატებებიც გვექნება, თუ აღჭურვა გაჭიანურდება და მხოლოდ დარბაზი გვექნება, ეს ბევრს არაფერს შეცვლის, რადგან დარბაზს არც ახლა ვემდურით და იქაც ვეტყვით. მთავარია, ინვენტარი და აღჭურვა, ეს ბევრს ნიშნავს ჩვენთვის. ამჟამად ახალი მოსწავლეების მიღება შეჩერებული გვაქვს, ასაკობრივ ჯგუფებად მაქვს დაყოფილი და ასე ვვარჯიშობთ. ჯამში 60 სპორტსმენია. ახალ დარბაზში კი 100-მეტ სპორტსმენს ვვარაუდობთ და რაოდენობა ნამდვილად გაორმაგდება.“

ილია მარტყოფლიშვილი



დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ კიკობოსინგელთა რიცხვისა და წარმატებების ზრდას ელის.













# კონკურსი არხილოსკალოს სკოლაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში, V-XI კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა სახელოვნებო-მუსიკალური ღონისძიება "ნორჩი მხატვარი". ღონისძიების მიზანია მოზარდების ხელოვნებისადმი ინტერესის ნახალისება, მათი შემოქმედებითი პოტენციალის აღმოჩენა და განვითარების ხელშეწყობა. სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, სადაც წინასწარ შერჩეულმა კომისიამ, ხმათა უმრავლესობითა და ბიულეტენების დათვლის შედეგად, გამოავლინა სამი გამარჯვებული მხატვარი.

- I ადგილი - **გოჩა ნიკლაური** (VIII კლასი).
- II ადგილი - **ლუკა ბუჩუკური** (V კლასი).
- III ადგილი - **ნიკოლოზ ბუთხუზი** (VIII კლასი).

ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო სიგელი, ხოლო გამარჯვებულები, სკოლის დირექტორის მხარდაჭერით, დაჯილდოვდნენ ფასიანი სპეციალური საჩუქრებით — სახატავი ტილოებით, საღებავებით, სკეჩმარკერებითა და ფანქრებით.


**თქვა გონაშვილი (ხელოვნების პედაგოგი):** „მინდოდა რაიმე ნამახალისებელი ღონისძიება მოემზადებინა. ბევრი ვიფიქრე ფორმატზე, განსხვავებული და სტიმულის მიმცემი რომ ყოფილიყო მოსწავლეებისთვის. საბოლოოდ შევჯერდით ნახატების კონკურსზე, რომლის გაფორმებამაც მუსიკის პედაგოგი დამეხმარა. ერთი თვე ვემზადებოდით, სტიმული კი მათთვის ის იყო, რომ ხმათა უმრავლესობით უნდა გამოვლენილიყო 3 გამარჯვებული. დიდი დრო დავხარჯე საჩუქრების არჩევაზე, მინდოდა მათი მოლოდინისთვის გადაეჭარბებინა. გამოფენაზე სხვადასხვა სტილის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი: პეიზაჟები, პორტრეტები და სხვა. მაღალი კონკურენტის ფონზე გამოვლინდა 3 გამარჯვებული. პირველ ადგილოსანს, გოჩა ნიკლაურს, გამოვნილი ჰქონდა ანიმე პერსონაჟები. იგი საკმაოდ დაიხვეწა, რითაც უმრავლესობის მხარდაჭერა დაიმსახურა. მეორე ადგილოსანმა, ლუკა ბუჩუკურმა, სხვადასხვა ჟანრის ნამუშევარი შეასრულა: გალაკტიონის პორტრეტი, ნატიურმორტი, ვაჟა ფშაველა ყოფითი ჟანრის სტილში და ანიმე პერსონაჟები. ვფიქრობ, თავისი ნიჭიერებით და ჟანრების მრავალფეროვნებით მოაგროვებენ ნორჩი მხატვრები. ხოლო ნიკოლოზ ბუთხუზს, წარმოდგენილი ჰქონდა პეიზაჟების სერია. მისი ნამუშევრები გამოირჩეოდა ფერთა განსაკუთრებული გრადაციით, რამაც არაერთი მხატვლის ყურადღება მიიპყრო. ღონისძიების დღე დატვირთული იყო ჩემთვის, განსაკუთრებით კი ხმის მიცემის პროცესი. ვფიქრობ, კონკურსი ნამუშევრებად ჩატარდა, განსხვავებული ფორმატი იყო სკოლისთვის. ბავშვებმა ისიამოვნეს როგორც /ხმის მიცემით, ასევე მუსიკალური გაფორმებით. გამარჯვებულებსაც მოეწონათ საჩუქრები და იმედი მაქვს მომავალ ღონისძიებებში მეტი მოტივაციით უფრო ბევრი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას“.

არხილოსკალოს სკოლაში ღონისძიების შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ და ამბობენ, რომ ამჯერად განსხვავებული საღამო შედგა, რამაც გულგრილი არავინ დატოვა. „ღონისძიების დამსწრე საზოგადოება ვერ მალავდა აღტაცებას მოსწავლეების ნამუშევრების თვალყურისას — თითოეული ნამუშევარი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა, რადგან მასში ჩადებული იყო დიდი შრომა, ენერჯია და შემოქმედებითი ხედეა. იმ დღეს სკოლის დარბაზში მართლაც ამაღლებული და მხიარული გარემო სუფევდა. მოსწავლეებმა მუსიკის მასწავლებელთან ერთად მაყურებელს შესთავაზეს როგორც ხალხური, ისე თანამედროვე მუსიკალური ნიმუშები, ხოლო IX-XI კლასის გოგონებმა განსაკუთრებული ემოცია შექმნეს საგალობლის შესრულებით. ღონისძიებამ არა მხოლოდ მოსწავლეების ნიჭი წარმოაჩინა, არამედ განამტკიცა მათი ინტერესი ხელოვნებისადმი, გაამყარეს ერთმანეთთან კავშირი და შემოქმედებითი ურთიერთობა. ეს დღე ყველასთვის შთამაგონებელი აღმოჩნდა და დატოვა სასიამოვნო მოგონებები, რომლებიც დიდხანს გაჰყვება დამსწრე საზოგადოებას. სკოლის დირექტორმა მადლობას უხდის პროექტის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ამ დაუწინიარი ღონისძიებისთვის და ნარმატებას უსურვებს მათ შემდგომ საქმიანობაში.“ - აღნიშნავენ სკოლაში.



ბული იყო დიდი შრომა, ენერჯია და შემოქმედებითი ხედეა. იმ დღეს სკოლის დარბაზში მართლაც ამაღლებული და მხიარული გარემო სუფევდა. მოსწავლეებმა მუსიკის მასწავლებელთან ერთად მაყურებელს შესთავაზეს როგორც ხალხური, ისე თანამედროვე მუსიკალური ნიმუშები, ხოლო IX-XI კლასის გოგონებმა განსაკუთრებული ემოცია შექმნეს საგალობლის შესრულებით.

ღონისძიებამ არა მხოლოდ მოსწავლეების ნიჭი წარმოაჩინა, არამედ განამტკიცა მათი ინტერესი ხელოვნებისადმი, გაამყარეს ერთმანეთთან კავშირი და შემოქმედებითი ურთიერთობა.



სკოლის დირექტორმა მადლობას უხდის პროექტის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ამ დაუწინიარი ღონისძიებისთვის და ნარმატებას უსურვებს მათ შემდგომ საქმიანობაში.“ - აღნიშნავენ სკოლაში.

**ილია პარტყოფლიშვილი**

## ელისა მთაზე კიდევ ერთი ეკლესია შენდება



შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ კეთილშობილ საქმეში“.

ქალაქ დედოფლისწყაროში ელისა მთაზე კიდევ ერთი ეკლესია აშენდება. როგორც ხორნაბუჯისა და შერეთის ეპარქიაში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ახალი ტაძარი ელისა მთის კალთაზე, ნაძვნართან, სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება, რომელიც ჯვართამაღლების სახელობის იქნება.

დედოფლისწყაროს ჯვართამაღლების ეკლესიის საძირკველი ხორნაბუჯისა და შერეთის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, მეუფე თეოდორე ჭუაძემ 25 სექტემბერს აკურთხა. ცერემონიაში ეპარქიის სხვა სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ.

ტაძრის მშენებლობა მთლიანად საქველმოქმედო პროექტია და მოქალაქეთა შემოწირულობების შედეგად აშენდება.

სამშენებლო სამუშაოებში ჩართულია არქიტექტორი სერგო ქართველიშვილი, რომელიც რამდენიმე თვის წინ დედოფლისწყაროს საპატრიარქო მოქალაქედ დასახელდა. ის ამბობს, რომ ეკლესია ერთნაგინი, ბაზილიკური, დარბაზული ტიპის იქნება: „ტრადიციულად, ძველად ყველა სასაფლაოსთან იყო ასეთი ტიპის მომცრო ეკლესია. სწორედ ასეთი ეკლესია შენდება. დაკვეთა ასეთი იყო და დაახლოებით ორი კვირა ვიმუშავე მის დაპროექტებაზე. ეკლესიას მიცვალებულთა დაკრძალვის დროს გამოიყენებენ. მოქალაქეთა შემოწირულობებით შენდება და საზოგადოებას



### იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო ავტოსადგომის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკონსტრუქციის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ქვით „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700\$ ტელ: 595 32 47 61

**გამოიწერეთ ყოველკვირეული ფერადი ბაზეთი „შირაქი“ ნელინადში – 20 ლარად**

შემოწირულობის მსურველთათვის, ტაძრის მშენებლობის საბანკო რეკვიზიტებია: **GE42TB7941036080100012**  
წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერების გამოხატვისა და მხარდაჭერისთვის! უფალმა დაგლოცოთ!

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო	
ორშაბათი 09.12	სამშაბათი 10.12	ოთხშაბათი 11.12	სუთშაბათი 12.12
დღე	ღამე	დღე	ღამე
☀️	☁️	☀️	☁️
8°	-1°	8°	1°
☀️	☁️	☀️	☁️
6°	-2°	10°	1°
☀️	☁️	☀️	☁️
8°	-2°	8°	-2°
☀️	☁️	☀️	☁️
4°	-5°	1°	-5°
☀️	☁️	☀️	☁️
1°	-5°		

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**  
რედაქტორი **ილია პარტყოფლიშვილი**  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ძინძაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფეროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6014-468.  
**გაზეთის გამოწერა ნელინადში – 20 ლარი**